www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2019

იანვარი

20.02.2019
www.geostat.ge

20.02.2019

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის იანვარი

2019 წლის იანვარში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსის ზრდამ 2.3 პროცენტი შეადგინა.

წინა თვესთან შედარებით ფასები 0.1 პროცენტით გაიზარდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე და მისი წვლილი ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 0.09 პროცენტული პუნქტით განისაზღვრა. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების ზრდა ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (16.1 პროცენტი), ასევე კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (1.3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქიმიურ ნივთიერებებზე, ქიმიურ პროდუქტებსა და ქიმიურ ბოჭკოებზე (-10.0 პროცენტი).

ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი: ფასები გაიზარდა 0.5 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 0.06 პროცენტული პუნქტით აისახა.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 3.1 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 2.43 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ფასების ზრდა დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (4.9 პროცენტი), ასევე ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (14.3 პროცენტი). პარალელურად, ფასები შემცირდა მერქანსა და მერქნის ნაწარმზე (-14.1 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** დაფიქსირდა ფასების 1.4 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 0.19 პროცენტული პუნქტით აისახა;

- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** დაფიქსირდა ფასების 4.2 პროცენტიანი კლება, რამაც 0.28 პროცენტული პუნქტით შეამცირა მთლიანი ინდექსის წლიური ცვლილება. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების შემცირება ლითონის მადნებზე და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქციაზე (-4,9 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის იანვარი

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის დეკემბერთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2018 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**100.1**	**0.10**	**102.3**	**2.35**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**99.2**	**-0.05**	**95.8**	**-0.28**
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	100.6	0.00	102.7	0.02
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარი¬ერე¬ბის დამუშავების სხვა პროდუქცია	99.1	-0.05	95.1	-0.30
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**100.1**	**0.09**	**103.1**	**2.43**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	101.3	0.45	104.9	1.79
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	98.5	-0.03	97.5	-0.05
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	100.0	0.00	102.8	0.01
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	98.4	-0.02	85.9	-0.44
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	116.1	0.52	114.3	0.49
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	100.0	0.00	109.4	0.07
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	90.0	-0.54	92.9	-0.39
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	97.1	-0.09	109.4	0.30
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	99.8	-0.02	103.4	0.35
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	98.7	-0.21	102.5	0.21
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.3	0.00	101.9	0.01
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	100.5	0.00	100.5	0.00
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.8	0.01	105.9	0.10
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**100.5**	**0.06**	**101.4**	**0.19**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge